# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №15 (4536) ● 9 ნოემბერი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲖᲔ

## ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲙᲔᲠᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲒᲕᲘᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲡ




**ხელთ** გვიჭირავს ბრწყინვალე ქმნილება აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე, რომელიც ფაქტიურად, აფხაზებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვანი ძმური თანაცხოვრების მატიანეა. ვინ არ იცნობს მის ავტორს, დიდ ხელოვანს, პატრიოტს და საზოგადო მოღვაწეს **სვეტლანა ქეცბას**. მოდით, წიგნის რედაქტორის **მანანა კორძაიას** მიერ ჩამოთვლილი რეგალიები გავიმეოროთ: „სოხუმის სამუსიკო სკოლის დირექტორი, აფხაზეთის კულტურის მინიტრი და კომპოზიტორთა კავშირის თავჯდომარე, საქართველო კულტურის მინისტრისა და აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარის მოადგილე, თბილისში აფხაზეთის კულტურის მინიტრი და მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი, „სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ თავმჯდომარე. ხოლო მე, ამ სტრიქონების ავტორს ამის გარდა სვეტლანა ქეცბა წარმომიდგენია ისეთი რანგის მოღვაწედ, როგორიც იყო **ოთარ თაქთაქიშვილი**.

ამ უაღრესად ძვირფასი, ფასდაუდებელი წიგნის სახელწოდებაა: **„გულის სახსოვარი“.** კითხულობთ მას და თქვენს თვალწინ ცოცხლდება დიდებული ხანა ჯადონურად მომხიბლავი აფხაზეთისა, გასაოცარი პეიზაჟი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მზისფრად მოელვარე მანდარინები, აფხაზი და ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრება.

დღევანდელი ვითარების ფონზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ წიგნის გამოცემას. ოცდახუთი წლის წინათ, იქ დაბადებულ თაობას აფხაზეთზე ნათქვამი თითქმის ზღაპარი ჰგონია. ამიტომ ეს წიგნი მათ აუცილებლად უნდა წაიკითხონ, რომ



აღიქვან შეიმეცნონ „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი, ჟღერს ზღვის ჰარმონია – დარობს რამდი დარი“ და განიცადონ, რა დავკარგეთ, რა წაგვართვეს.

უფრო მეტაც ვიტყვით: **„გულის სახსოვარი“** მშობლიურ კერაზე დაბრუნებას გაგვიადვილებს. მათემატიკურ ენაზე შეიძლება ასეთი ფორმულა ჩამოვაყალიბოთ: **ამ წიგნს პლიუს მთავრობის ნება-ძალისხმევა უდრის აფხაზეთში დაბრუნებას.**

გაზეთის ფორმატი არ გვაძლევს გასაქანს წიგნის ვრცელი რეცენზირებისა, მაგრამ შევეცდებით, მკითხველს ფრაგმენტულად მაინც გავაცნოთ მისი მოკლე ანონსი.

ეს უკვდავი ქმნილება ქართულ-რუსულ ენაზეა გამოცემული. პოლიგრაფიული დონე მეტად შესაშურია. კულტურულ-შემოქმედებითი ურთიერთობის დაუვიწყარი მოვლენები ხელოვნების ყველა სფეროშია წარმოდგენილი. აი, მცირე ჩამონათვალი: სოხუმის ქართული თეატრი 75 წლისაა, მოგონებები ზაქარია ფალიაშვილის თეატრთან ურთიერთობაზე. სოხუმში დადგმული ოპერა **„ალმასი“**. აფხაზეთის ომის ქრონიკები, ძმობის ცოცხალი მაგალითები; კომანი: **მამა ანდრია** და **იური ანუა**. არავინაა დავიწყებული – პოეტი **ჯანო ჯანელიძე**. სვეტლანა ქეცბა: „აფხაზეთის ომი, რომლის დაშვება არა და არ გვინდოდა, მაინც იქცა რეალობად“, „ომს სიკეთე არც გამარჯვებულებისთვის მოაქვს და არც დამარცხებულისთვის“.

გამორჩეული მოვლენები და კულტურის მოღვაწეთა დაუვიწყარი სახეები ხელოვნების სხვადასხვა დარგში: **ოთარ თაქთაქიშვილი, გივი ორჯონიკიძე, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე, ნიკოლოზ ანჩაბაძე, გიორგი ემხვარი, ლევ ჯერგენია, ანატოლი ხაკბა, ვიაჩესლავ აიბა, რაჟდენ გუმბა, ძუკუ ლოლუა, კიწი გეგეჭკორი, შოთა მილორავა, ბაგრატ ბაგათელია, ბაგრატ შინკუბა**…

აფხაზეთის კულტურის კერების საამაყო აღზრდილნი: **ოდისეი დიმიტრიადი, ზურაბ სოტკილავა, ჭოლა კუკულაძე, ზაირა ხორავა, მარინე ეშბა, ივანე ლაკერბაი, ასტამურ მარღანია**… ანსამბლი **„ნართაა“, გოგი ქავთარაძე, დიმა ჯაიანი** (დღეს განათლებისა და კულტურის მინისტრი), **ლორიკ მარშანიას** და **ჟიული შარტავას** უკვდავი სახეები…

მკითხველი გრძნობს, რომ ყველას ვერ ჩამოვთვლი. ყველა სტატიაში იგრძნობა **სვეტლანა ქეცბას** დიდი პროფესიონალიზმი და ჟურნალისტური ოსტატობა.

დიდი მადლობა ამ წიგნის შექმნაში მონაწილე, ავტორის მხარში მდგომ მეგობრებს: შემდგენელ **ლია სეხნიაშვილს**, რედაქტორ **მანანა კორძაიას**, რედაქტორ-კორექტორ **ციცინო ჯულუხიძეს**, დიზაინერ **ბესიკ დანელიას**, **„კონკორდის“** ხელმძღვანელ **გიორგი ფარულავას** და სხვებს.

დიდი მადლობა ჩემს თანამემამულეს, ნაღდ სოხუმელს და პატრიოტს **ჯუსტან მარღანიას**, რომლსაც თავისი წვლილი მიუძღვის ამ უძვირფასესი ქმნილების გამოცემაში. მან მისახსოვრა ეს უძვირფასესი წიგნი.

გავიმეორებ, ყველამ უნდა წაიკითხოს „გულის სახსოვარი“, ვისაც ეძვირფასება აფხაზეთი, სოხუმი, განსაკუთრებით კი – ომის შემდეგ აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდებმა, კიდევ ვიმეორებ: **ეს წიგნი ჩვენი სულიერი საგანძურია.**

**ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ (ᲙᲘᲜᲓᲦᲔᲚᲘ),**
**პედაგოგიკის დოქტორი**



ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ

### *გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!*

**გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! –**
**ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,**
**მომენატრა მზე სინათლის მფენი:**
**მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.**
**მომაგებე შენ იგივე პალმა,**
**სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა**
**გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,**
**მომაგებე მშობლიური გემი,**
**მომაგებე მშობლიური მიწა,**
**შენი ძველი მეგობარი მიცან.**



ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲝ, ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ!

C M Y K

სტუმრად აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლაში

# თბილისის ზღვისპირელებს პალმების ზღვა გვიხმობს, გვეძახის



საოცარი რამ არის ბედისწერა. მან პალმების ზღვიდან თბილისის ზღვაზე გამოგვდევნა, მაგრამ ტრაგედიამ ვერ გაგვტეხა, ვერ დაგვაჩოქა. აქაც ჩამოვიტანეთ გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის ზღვის ნელსურნელება. 25 წელია არ შეგვიწყვეტია დაბრუნებისთვის ბრძოლა. აი, პერიფრაზი: „არ მოვმკვდარვართ და არც გვძინავს, დროზე მუდამ გავიღვიძებთ, ვინც შენატრის ჩვენსა სიკვდილს, მას უმალვე დავამიწებთ“.

ამ ფიქრებით მივადექით თბილისის ზღვაზე მდებარე, ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლას. იგი ხომ თავად სტუმარია და კიდევ მისი სტუმარი ვინ უმდა იყოს, მაგრამ... გასულ გაზაფხულს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა, დიდებულმა მახიობმა **დიმიტრი ჯაიანმა** ჟურნალიტებთან საუბრისას მაღალი შეფასება მისცა ამ სკოლის საქმიანობას. ჰოდა, მოდით ვიასუბროთ აქაურ პედაგოგებზე, მათ მიღწევებზე, პატრიოტულ შემართებაზე. მეტად გამოცდილი, პედაგოგის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული დირექტორი **სვეტლანა რურუა** აგერ უკვე 16 წელია შედეგიანად უძღვება ამ სკოლას. მის სახელთან არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ასოცირ-



დება...ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ახალგაზრდა პედაგოგმა გაბედა და სისრულეში მოიყვანა კიდეც დიდი ხნის ნაოცნებარი-30 წლიანი პაუზის შემდეგ გაგრის ზონის სომხურ სკოლებშია ღადგინა ქართული ენის სწავლება. მოგვიანებით დააარსა და ხელმძღვანელობდა გაგრის ცენტრალურ საბავშვო და მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკებს, პარალელურად მუშაობდა გაგრის პირველ საშუალო სკოლაში.

აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ ვერ ჩაკლა მასში მებრძოლი სული. 2007 წლიდან კვლავ „ბრძოლის“ ველზეა.სკოლის დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ამ სკოლას კეთილი მიზნით: აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს მიეღოთ საფუძვლიანი განათლება. მან კარგად უწყოდა, რომ ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი იყო ერთ მუშტად შეკრული პედაგოგიური გუნდის გარეშე, რაც



შეძლო კიდეც სკოლის სასწავლო ნაწილთან ია ჭანტურიასთან ერთად და დღეს აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლა ერთ-ერთი ძლიერი საგანმანათლებლო კერაა რეგიონში „თბილისურ აფხაზეთში“.

აქ 2007 წლიდან ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება 170 – მდე მოსწავლესა და მასწავლებელს.სკოლის წიგნადი ფონდი საკმაოდ მდიდარია. ბიბლიოთეკაში გვაქვს როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული სახელმძღვანელო და საცნობარო ლიტერატურა. სწორედ ამიტომ ის აღსაზრდელების საყვარელი ადგილია. აქ ხშირად იმართება გამოფენები, საუბრები, თუ დისკუსიები ამა თუ იმ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას, იმსჭვალებიან მამულის სიყვარულით. სკოლაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება 22 პედაგოგი.

სკოლაში ნაყოფიერად ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა პედაგოგები. ისინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. ყოველწლიურად უმჯობესდება სწავლა-სწალების ხარისხი სკოლაში, რაზედაც აშკარად მეტყველებს „კატისა“ და ეროვნული გამოცდების შედეგები.



გასულ სასწავლო წელს არა მარტო ყველა მოსწავლემ გადალახა მინიმალური ბარიერი, არამედ 7 ქულაზე დაბალი ნიშანი თითქმის არც დაწერილა. ყოველწლიურად იზრდება ეროვნული გამოცდებით უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა რაოდენობა. გასულ სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა 19 მოსწავლემ, ეროვნულ გამოცდებს აბარებდა –15 მოსწავლე. სტუდენტი გახდა 12, აქედან 30% გრანტის მფლობელია. გასულ სასწავლო წლებთან შედარებით სკოლაში უმჯობესდება სწავლის ხარისხი, იზრდება წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობაც. ამ ეტაპზე 16 წარჩინებული მოსწავლიდან ერთი-ანა სილაგავა, ოქროს მედლის კანდიდატია, ხოლო ორი მოსწავლე – ანა და ელენე შელიები-პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ კანდიდატები არიან“. აფხაზეთის მე-3 სკოლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სასწავლო-შემოქმედებით აქტივობებსა თუ სპორტულ ღონისძიებებში. გვყავს არაერთი გამარჯვებული. მაგალითად, მე-11კლასელი **ა.სილაგავა** თეორიული კონფერენციის **„მე თბილისელი ვარ“** გამარჯვებულია, მეორე ადგილი ხვდა წილად მის ნაშრომს **„ვაზი**



**და საქართველო“** მოსწავლეთა სასწავლო – შემოქმედებით კონფენციაზე. ეს იყო 2015 წელს. კიდევ ბევრი საამაყო ახალგაზრდა ფრთიანდება ამ სკოლაში.

განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვენი აღსაზრდელების სპორტული მიღწევები, რაც სპორტის მასწავლებლის ბატონ **ვახტანგ ჩოჩიშვილის** უდავო დამსახურებაა. ჩვენი სკოლის უფროსკლასელები - **თ. თოლორაია, ნ. ჯიჯელავა, მ. და გ. შელიები, ს. ბასარია, ნ. მიხელიძე** და **ა. სილაგავა**, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფინალისტები არიან **გეზრბენ**ში.უკვე რამდენიმე წელია, ზედიზედ ჩვენი სკოლის გოგონები აფხაზეთის ჩემპიონები არიან **ჭადრაკში.** გამონაკლისი არც მიმდინარე სასწავლო წელი იყო. სულ ახლახან ჩატარდა აფხაზეთის ღია პირველობა ჭადრაკში. ტრადიციისამებრ სამივე საპრიზო ადგილი ჩვენი სკოლს აღსაზრდელებს - **მ.ფარულავა** და **ე. შელიებს** ხვდა წილად. აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი „აფხაზეთი“. ეს ფეხბურთელები ხვადასხვა დროს იყვნენ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონები, ისე მეორე და მესამე საპრიზო ადგილის მფლობელები. გასულ წელს კი ისინი მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

როცა ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მიღწევებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჩვენი სკოლის პირველ ოქროს მედალოსან **ლელა ჯგერენაიას,** რომელიც დღეის მდგომარეობით **ბოსტონის უნივერსიტეტდამთავრებულია.** მან, 2011 წელს, მეორე კურსის სტუდენტმა ამერიკაში გამოსცა ქართული კლასიკური ლიტერატურის კლასიკოსე**ბის-ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის** და სხვების თარგმანები ინგლისურ ენაზე. 2012 წლიდან ბოსტონის უნივერსიტეტში ქართული კლასიკური ლიტერატურა ისწავლება **ლელა ჯგერენაიას** თარგმანებით.

აფხაზეთის მე-3 სკოლის 2013 წელს კურსდამთავრებული **თ. უგრეხელიძე** ამჟამად სწავლას განაგრძობს **იტალია**ში. ის კონსერვატორიის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტია. დარწმუნებულნი არიან პედაგოგები, რომ ის აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს და ქართულ გენს კიდევ ერთხელ გამოაბრწყინებს. ყოველწლიურად სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად უმჯობესდება სკოლის ინფრასტრუქტურაც. უახლოეს მომავალში დაიწყება გათბობის სისტემის დამონტაჟება, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების ხარისხის აღმავლობას. ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა. დირექტორ **სვეტა რურუასთან** ერთად ყველა მასწავლებლის პირველი რიგის მიზანია, უახლოეს მომავალში აღსაზრდელებს ჰქონდეთ თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლა, სკოლა, სადაც მოზარდი სიხარულით მოვა ცოდნის შესაძენად, ხოლო მასწავლებელს ექნება საუკეთეო პირობები, აღზარდოს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი განათლების, ტოლერანტი და სამოქალაქო ცნობიერების მოსწავლე, რომელსაც უსაზღვროდ ეყვარება თავისი ფესვები და აფხაზებთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შემთხვევაში დაბრუნდება მშობლიურ კუთხეში მის ასაღორძინებლად. მაღალმა ღმერთმა გისმინოთ და ხელი მოგიმართოთ, დევნილებო!

**ინვერ მესხია (კინდღელი)**



## ინფორმაცია

### განათლების მინისტრი მოსწავლეთა მშობლებს გაახარებს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განმარტებით, სამინისტრო სასკოლო წიგნების წონის რეგულირებაზე მუშაობს.

ალექსანდრე ჯეჯელავას თქმით, „მომავალ წელს და იმის შემდეგ წლებში კიდევ უფრო შემსუბუქდება ჩვენი მოსწავლეების ჩანთები“. მისივე განმარტებით, რეგულაციები უკვე მომზადებულია და ამჟამად გამომცემლებთან მიმდინარეობს განხილვა.

როგორც ჯეჯელავამ აღნიშნა, ჯანდაცვის სამინისტრო ამ პროცესში ჩართულია და ახალი წიგნები იქნება უფრო მსუბუქი, ვიდრე წინა.

„გარდა ამისა, პროგრამების გადამუშავებაზე მოგვიწევს მუშაობა. მე არაერთხელ ვთქვი, რომ რომ ჩანთის სიმძიმე მარტო წიგნის სიმძიმიდან არ გამომდინარეობს, გაკვეთილების სიმრავლიდანაც გამომდინარეობს. შვიდი და რვა გაკვეთილი თუ აქვს ბავშვს, ცხადია, რომ მეტი წიგნი და რვეული უნდა წაიღოს. მეორე ცვლილება იქნება, რომ ჩვენ შუა კლასებში უნდა განვტვირთოთ სასწავლო პროგრამა და ამ მიმართულებით ვმუშაობთ.

მესამე ცვლილება არის ის, რომ უნდა გაჩნდეს ნებაყოფლობით ალტერნატივად ელექტრონული სახელმძღვანელო. ანუ ოჯახს თუ სურვილი აქვს, ბავშვმა სახლში ქაღალდის წიგნებით იმუშავოს, მაგრამ სკოლაში ელექტრონული ასლები ჰქონდეს, ამის საშუალება უნდა ჰქონდეს, თუმცა ეს ოჯახის გადასაწყვეტია, უნდა თუ არა, რომ მისმა შვილმა ელექტრონული სახელმძღვანელობით ისარგებლოს. ასე რომ, მომავალ წელს უკვე შემსუბუქდება ჩვენი მოსწავლეების ჩანთები, იმის შემდეგ წლებში კი კიდევ უფრო შემსუბუქდება. თუმცა, დღესაც მინდა ვთქვა, რომ არსებობს ალტერნატივა, რომ ყოველდღე ყველა წიგნი არ ატაროს მოსწავლემ“, - განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

თბილისის 54-ე საჯარო სკოლა მოწინავეა

# კარგ განათლებას მუდამ ახლავს მორალური ღირებულებები



– **დიდი** სიამაყით მინდა გითხრათ, რომ წლეულს, პირველ აპრილს ჩვენს სასწავლებელს ეწოდა საქართველოს დამსახურებული არტისტის **სოფიკო ჭიაურელის** სახელი, – ასე დიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის 54-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ქეთევან ჩოქურმა**. იგი, სამი წელიწადია აღნიშნულ სკოლას ხელმძღვანელობს და ამ ხნის მანძილზე, მართლაც ბევრი რამ კარგი გაკეთდა. პირველ რიგში, მოპირკეთდა და მოწესრიგდა ეზო, რომელიც გალამაზდა სხვადასხვა მწვანე ნარგავებით – ყვავილებითა და დეკორატიული ნაძვებით; ასევე, დაიდგა ორიგინალური მონუმენტი, სადაც საქართველოს რუკა და ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილების **(ჟიული შარტავას, არჩილ მიშველაძის, დავით ბოლქვაძის, ვაჟა სიჭინავას და პავლე გიორგობიანის)** სახელებია ამოტვიფრული. რაც შეეხება შენობას, აქ შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალი რანგის პროფესიონალებით, რომლებიც მოზარდებს ასწავლიან საგნების ძირითად არსს, ულვივებენ ლტოლვას კითხვისადმი,



აცნობენ მათ ქართული კულტურის, ისტორიის უნიკალურ მიღწევებს. მაღალ დონეზეა აღმზრდელობითი მუშაობა.

ქალბატონი ქეთევანი პირველადი პროფესიით მედიცინის მუშაკი გახლავთ, ასევე, არის ბიოლოგიის მასწავლებელი. უკვე თექვსმეტი წელიწადია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მას ძალიან უყვარს თავისი საქმე, თითოეული მოსწავლე და ამაყობს სკოლის წარმატებებით. შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა სკოლისთვის, რადგან მათი 6 კურსდამთავრებული მედალოსანი იყო.ყველა მათგანი ასპროცენტიანი გრანტით ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში. ესენი არიან: **ლექსო გოგოლაშვილი, სალომე მერებაშვილი, მარიამ გიგილაშვილი, სანდრო ჯიბლაძე, სოფიო ფარულავა და თათული ღონღაძე**.

**ქეთევან ჩოქური**: ჩვენი სკოლა მოწოდებულია იმისთვის, რომჩ აღვზარდოთ მომავალი ჯანსაღი, პატრიოტი და განათლებული თაობა, რომელიც საქართველოს მოუვლის და სწორი გზით წაიყვანს, განაგრძობს მოწინავე ტრადიციებს და გაუფრთხილდება ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს. 54-ე სკოლას სახელოვანი წარსული აქვს. ჩვენი და 55-ე სკოლის წინამორბედი იყო ქალთა და ვაჟთა გიმნაზია ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე (სადაც, ამჟამად 21-ე სკოლაა). შემდეგ, ნაწილი გამოეყო ვაკეში და ფალიაშვილის 59-ში დაიდო ბინა. სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, რაშიც დაგვეხმარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სკოლისთვის **სოფიკო ჭიაურელის** სახელის მინიჭება ჩემი გადაწყვეტილება იყო და კოლექტივმაც მხარი დამიჭირა. საქმე იმაშია, რომ ბებიაჩემი გახლდათ ზემოთ ნახსენები გიმნაზიის კურსდამთავრებუ-



ლი და მის შესახებ ცნობას ვაგროვებდი. სრულიად შემთხვევით კი აღმოვაჩინე, რომ აღნიშნული სასწავლებელი **სოფიკო ჭიაურელსაც** დაუმთავრებია. ამიტომაც, გამიჩნდა იდეა სკოლისთვის მისი სახელი დამერქმია. ქალბატონი სოფიკო გახლდათ სიმბოლო – ნიჭიერების, სილამაზის, ესთეტიკის, ჰარმონიულობის და ძალიან მინდა, რომ ამ კულტურით და ტრადიციებით იყვნენ განმსჭვალული ჩვენი მოსწავლეები და მასწავლებლებიც. ჩვენი სკოლის მისიაა არამარტო მცოდნე და თანამედროვე სამყაროში, კარგად ორიენტირებილი ახალგაზრდები აღვზარდოთ, არამედ იყვნენ კონკურენტუნარიანები, რომელთაც ექნებათ ეროვნული ღირებულებები და იქნებიან კარგი ადამიანები.

სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი მშობლებიც. 54-ე სკოლაში ყოველთვის ასწავლიდნენ ჩინებული სპეციალისტები. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული. მოგეხსენებათ, პედაგოგს კარგი განათლების და კომპეტენციის გარდა, მაღალი მორალური თვისებები უნდა გააჩნდეს, რაც მოსწავლეების აღზრდაში უნდა გამოიყენოს. ჩვენი სკოლის ძლიერი მხარე, სწორედ, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე კოლექტივი იყო და დღემდე ასე გრძელდება. ამჟამად, ჩვენთან 48 პედაგოგია და აქედან 22 სერთიფიცირებულია, ერთი წამყვანი მასწავლებელია.

სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია – მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარება. სკოლაში, ხშირად იმართება ღონისძიებები და ასევე, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. მოსწავლეები მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაცია **„მოქალაქ“-ის** მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაში, რომელიც სამოქალაქო განათლების კუთხით გაიმართა; ასევე, **„კინგსის“** და **„სმარტ კომპეტინშენის“** ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოებულები და ქების სიგელებით დაბრუნდნენ.

ერთი სიტყვით, 54-ე საჯარო სკოლა დედაქალაქში გამორჩეული სასწავლო დაწესებულებაა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. სკოლის წარმატებები და წინსვლა კი, კარგი ხელმძღვანელის და მენეჯერის დამსახურებაა.

**მზია გოგოძე**



# „პოლუსის“ პრიორიტეტები



**ჩვენს** დედაქალაქში ალბათ, ძნელად თუ მოძებნება ისეთი მაღალი დონის საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულება, როგორიც „პოლუსია“. იგი გამორჩეულია არამარტო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობით, არამედ აკადემიური სწავლებით.

აღსანიშნავია, რომ „პოლუს“-მა წლეულს, 5 აპრილს, უკვე მეორედ გაიარა აკრედიტაცია და ექვსი წლის ვადით, მიენიჭა ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა – „პოლუსი“ ვაზისუბნის მე-2 მიკრო რაიონში მდებარეობს. იგი, 2003 წელს დააარსა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა და სრულმა პროფესორმა **დავით ჯანგულაშვილმა.** სწორედ ბატონი დავითის დამსახურებაა „პოლუსი-“ს წარმატებები, რადგან მისი ფინანსური მხარდაჭერით სკოლაში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა. უკვე ექვსი წელიწადია, რაც სკოლას სათავეში უდგას თავისი საქმის პროფესიონალი და შესანიშნავი ხელმძღვანელი **მარიამ რცხილაძე**. „პოლუსი“ დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. აქ სულ 33 პედაგოგია და აქედან 10 – სერთიფიცირებულია. სკოლას ემსახურება ექიმი და მანდატური.

სკოლის ორსართულიანი შენობა კეთილმოწყობილია, ვიდეო-თვალით კონტროლდება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაა აღჭურვილი. მოწესრიგებულია სველი წერტილები,



დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. აქ შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი. დერეფნები და სასკოლო ოთახები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებითა და ყვავილებით. გემოვნებით არის მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, საკონფერენციო და სპორტული დარბაზი. მოსწავლეებისთვის განკუთვნილია ორი კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც ინტერნეტითაა უზრუნველყოფილი, ასევე, ბუფეტი და თანამედროვე წიგნებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

საგულისხმოა, რომ „პოლუს“-ში ამჟამად, 256 მოსწავლეა. გადასახადი სხვა სკოლებთან შედარებით დაბალია 1300-დან 2000 ლარამდე. შეღავათებით სარგებლობენ ორშვილიანი და სამშვილიანი ოჯახები. აქ, ყოველწლიურად პირველ კლასელებს სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემათ. მე-12 კლასელებს კი, სასკოლო პროგრამასთან ერთად, ეროვნული გამოცდებისთვის ამზადებენ. სკოლისთვის წარმატებული იყო გასული სასწავლო წელი, რადგან ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ. ესენია: **ლაშა მამაცაშვილი, ალექსანდრე გელაშვილი, დაჩი არღუთაშვილი** და **თინათინ ბატონისაშვილი.**

**მარიამ რცხილაძე,** „პოლუსი“-ს დირექტორი: სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა აკადემიური სწავლების დონეს. ჩვენთან პრიორიტეტულია ხარისხიანი განათლება, მოსწავლეების წიგნიერება და რეპეტიტორის გარეშე უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება. დიდი ყურადღება ექცევა ქართულის და ინგლისუ-

▶▶ გაგრძელება მე — 4 გვ.

როგორ ცხოვრობთ, 91-ე ბაგა-ბაღელებო?

# „ონავრები“ მეტად ნიჭიერები არიან

**შეხვალთ** და გაოცდებით, იმდენია სილამაზე, აი, კოხტა ეზო, გაჯერებული: კარუსელებით, საქანელებით, „აჩუ-აჩუ ცხენებით“, სასრიალოთი... შიგნით აღმოჩნდებით და... საით გაიხედოთ, არ იცით. „ყვავილები, ყვავილები, ნაზი, ფდერად-ფერადი“, ყველგან თოჯინები იცინიან.

**„ონავრები“** 91-ე ბაგა-ბაღშია ახალი სასწავლო წლისთვის კარგად და დიდებულად მოემზადნენ. ისე მოაწესრიგეს ინფრასტრუქტურა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა. დიდი დახმარება გაუწიათ თბილისის მერიამ, მისმა სამსახურმა, განსაკუთრებით დიდუბის გამგებელმა **ირმა ზავრადაშვილმა,** რომელსაც მეტად ემადლიერებიან მშობლები, ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი.

აქათკენ მოუხარიათ ცეროდენებს, რადგან აქ ელოდებათ მშობლიური ალერსი და მზრუნველობა.

ვინ არის ამ ზღაპრული სამყაროს დიდი დიასახლისი? ვინ და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, მეტად ცნობილი პედაგოგი **ნანი ჯანელიძე**. ცოტა მეტი გვინდა მასზე ვისაუბროთ, რადგან მის მოღვაწეობას ახლავს სევდიანი ეპიზოდი. სამუსიკო ტექნიკუმისა და სარაჯიშვილის კონსერვატორიადამთავრებული მე-100 სკოლაში წარმატებით ასწავლიდა მუსიკას. მუდამ ცეროდენებთან მიუწევდა გული და დაანიშნაურეს 90-ე ბაღის დირექტორად. „მაგრამ ხანგრძლივად ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ უსამართლობის ზეობისას, კერძოდ, 2007 წელს უმიზეზოდ გაათავისუფლეს შემოქმედი, ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი. 7 წელი უსამართლობის მსხვერპლი იყო, მაგრამ სამართალმა ურმით იარა და მაინც პური ჭამა.

ახალმა კოლექტივმა გულთბილად მიიღო, როგორც ძველი ნაცნობი. არადა, ვინ













▶▶ მე-3 გვერდიდან

რის სწავლებას. მოსწავლეებისთვის უფასოდ არის ქართული ენისა და ლიტერატურის და ასევე, მათემატიკის სახელმძღვანელოები. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩართულია სასკოლო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებში, საიდანაც დიპლომებითა და (პირველი და მეორე ხარისხის) სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. სასწავლებელში იმართება სხვადასხვა სახის ლიტერატურული თუ შემოქმედებითი ღონისძიებები და ხშირად ეწყობა შეხვედრები მწერლებთან,





პოეტებთან და ჩვენი საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებთან. შარშან, სპეციალური მოწვევით, სტუმრად იმყოფებოდა ჭადრაკის დედოფალი **ნონა გაფრინდაშვილი**, რომელთან ერთად სკოლაში, ერთიანი საჭადრაკო სეანსი ჩატარდა. შედეგები, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. ქალბატონი ნონას სტუმრობა ჩვენი სკოლისთვის დიდი პატივია და ბავშვებს ეს შეხვედრა არასოდეს დაავიწყდებათ. დირექტორის თქმით, „პოლუს“-ის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლას, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გადასცა დიპლომი – წარჩინებული აბიტურიენტების აღზრდისათვის. სკოლაში დამატებით ისწავლება: ჭადრაკი, მეტყველების კულტურა და კომპიუტერული პროგრამები. ასევე, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი, სხვადასხვა წრეები და სპორტული სექციები. ყოველწლიურად გამოიცემა სასკოლო გაზეთი **„ახალი თაობა“.** სკოლაში განათლების სამი საფეხურია: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. დაწყებით კლასებში ისწავლება უცხო ენა. მოწავლეთა რაოდენობა შეზღუდულია და მათი მიღება ხორციელდება გასაუბრება-ტესტირების საფუძველზე, ასე რომ, სკოლის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აღზარდონ განათლებული და ღირსეული მოქალაქეები.

**მზია გოგოძე**

სახალხო განათლება+



არ იცნობდა ღვაწლმოსილ პედაგოგს. და დღეს შეხმატკბილებულად თავი გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად ენთუზიაზმით მოღვაწეობს, მამულიშვილებს ზრდის.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების, სხვა მუშაკების თავდადებულ მუშაობას. სასწავლო აღმზრდელობით პროცესს დიდი გატაცებით უძღვება მეთოდისტი **მარიამ კაპანაძე.** იგი აღმზრდელებთან და სხვა მუშაკებთან ერთად იბრძვის **„სასკოლო მზაობის პროგრამის“** წარმატებით განხორციელებისათვის. სჯობს, თავად დირექტორის დახასიათებით წარმოგიდგინოთ ყველა თანამშრომელი:



„ყველას საბავშვო ბაღში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მადლობას იმსახურებენ აღმზრდელები: **ციცქიშვილი მარინე, ავალიანი ნანა, კოპაძე ქეთევანი, სტეფლიანი ჟანა, დურგლიშვილი ნანა, წურწუმია ლალი**. მეორე ცვლის აღმზრდელები: **ჩხეტიანი რიმა, კახოშვილი თინათინი, ხაჟომია მარიამი**. პატარების სულის გამფაქიზებელი, მუსიკის მასწავლებელი **დემეტრაშვილი ელისო**, ფსიქოლოგი **ირმა მუჯირი**, ლოგოპედი **ციცი კუპატაძე**, ცეკვის მასწავლებელი **ანა აბულაძე**. საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის მარიამ კაპანაძის მუშაობაზე ზემოთ ითქვა. კიდევ დავუმატებთ: ის ერთ-ერთი ავტორია აღმზრდელთა პროგრამის წიგნისა.



თავდაუზოგავად მუშაობენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ნათენაძე მაია, მელიქიძე მზია, ვეფხვაძე დინარა, კვირკველია ნანა, გულედანი თამარი, ეგიან კარინა**. დამლაგებლები: **წამალაშვილი ლელა** და **რეშეტოვა თატიანა**, მებაღე **ბაბიანი სტელა,** დარაჯები **მოსიძე გიორგი და მაისურაძე თეიმურაზი**.

გამართულად მუშაობს კვების ბლოკი. ცუგრუმელებს ძალიან უყვართ მზარეულების: **ზვიადაური მაიას, ფეიქრიშვილი ლონდას, ივანიშვილი ნატოს** მიერ მომზადებული არომატული კერძები.

სამ.ნაწ. კოორდინატორი **ჟორჟიკაშვილი ნანა**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **სიმონიშვილი ია**, დირექტორის მოადგილე **ლია ზამთარაძე** დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებენ. მინდა შევაქო საქმისმწარმოებელი ტეიძე თეა, რომელიც თავდაუზოგავი მშრომელი და საქმის კარგი მცოდნეა.

ძალიან მიყვარს ჩემი შრომისმოყვარე კოლექტივი, ახლო საქმიანი და მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, როგორც თანამშრომლებთან, ასევე მშობლებთან, რაც ძალიან მახარებს.

ცხოვრება გრძელდება დიდი სიხარულით და ენთუზიაზმით. მეც ახალი გატაცებით ფეხს ვუწყობ მას. ქალბატონ ნანიზე უკეთესად ვერც მეტყვით,. დაგელოცოთ მარჯვენა მეგობრებო!

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ასე ზრუნავს ხვალინდელ დღეზე, პატარების მოფერებაზე. აღმზრდელებს კი ვუსურვებ ბედნიერ ცხოვრებას და დალოცვილნი იყვნენ უფლისგან. „შენ აყვავდი, ბაღო მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა, კიდევ ბევრი გაგვიზარდე, ვინც სამშობლო დაგვიმშვენა!“

ზღვა სიხარული მუდამ თქვენთან იყოს, 91-ე ბაგა-ბაღელებო!

**ბორის ხარებავა**

ახალი ბაგა-ბაღის ნომერია – 206

# ზემო ფონიჭალაში სიხარული დამკვიდრებულა

**თბილისის** მერიის ინიციატივით, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან ერთად, დედაქალაქს რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი შეემატა. მათ შორის, ერთ-ერთი საუკეთესოა ზემო ფონიჭალის 206-ე ბაგა-ბაღი. დირექტორად მეტად გამოცდილი პედაგოგი **მარინე გოგოლაძე** დაინიშნა.









ვრცელი, მწვანე ნარგავებით დამშვენებული და სათამაშოებით მორთული ეზო ბავშვებს ხალისიან განწყობას უქმნის. დილით, ჯგუფებში შესვლამდე აქ ნავარდობენ, შემდეგ კი თავიანთი ჯადოსნური სამყაროსკენ მიემართებიან. დერეფნები, გასახდელები, სათამაშო თუ საძინებელი ოთახები, დარბაზი – სავსეა თვალსაჩინოებით, ნახატებით, სათამაშოებით, თანამედროვე სტანდარტის ავეჯით. ზრუნვისა და თანდგომისთვის მთელი კოლექტივი, მშობლები მადლობას უხდიან თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს ბატონ **თემურ თორდინა**ვას, ასევე კრწანისის რაიონის კურატორს ქალბატონ **ნინო გრძელიძეს** და სხვებს.

ბაღში თამამად ინერგება სიახლეები, დღის რეჟიმის მიხედვით ტარდება აქტივობები. თანამედროვე სტანდარტების დონეზე ეწევიან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას აღმზრდელები: **ანნა გამეზარდაშვილი, მარინა ჯაფარიძე, მთვარისა აკოფაშვილი, ლია მედულაშვილი, ნანა გაბისონია, ია ნატროშვილი, თინათინ ხეთაგურაშვილი,** მათ მხარდამხარ დგანან აღმზრდელები: **ნატო დორეული, ნინო ბაჯიაშვილი, ხათუნა რთველაძე**.

კვების ბლოკი სანიმუშოდ მუშაობს. ცეროდენები მიირთმევენ მათთვის სასიამოვნო, სასარგებლო კერძებს. აქ დაიწყო პატარების სასიკეთო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და მათი გონებრივი თუ მხატვრული თვალსაწიერის გაფართოების პროცესი. ამ საქმეში აღმზრდელების გვერდით არიან აღმზრდელის თანაშემწეები: **მაია ვარდია, ქეთევან მჟავანაძე, ზინა კენჭოშვილი, ნინო ბერელიძე, ია შავაძე, ინგა ლომთაძე, თამუნა ობლიშვილი, ფიქრია იაკობიშვილი, შორენა ძაბახიძე, ნათია კანთელაძე, ნათია ჯოჯიშვილი, შორენა მიქავა, ციური ხურცილავა, ნათია ადოლაშვილი**. ამჟამად დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებიან

▶▶ *გაგრძელება მე — 6 გვ.*







მე-5 გვერდიდან

– აღმზრდელი **ირმა ალიაშვილი** და აღმზრდელის თანაშემწე **თინათინ გახოკიძე**.

ქალბატონი **მარინე გოგოლაძე** მართლაც საამაყო დირექტორია. თბილისის ყოფილი ა.ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, აღმზრდელად დაიწყო მუშაობა 129–ე საბავშვო ბაღში, იქ, სადაც თავად აღიზარდა. 1987 წელს 191-ე ბაგა-ბაღის გამგედ დაინიშნა და ოცი წელი უანგაროდ ემსახურა საყვარელ საქმეს. 2007 წელს შეიძლება „რეპრესიის“ წელი დავარქვათ. ისევე როგორც ბევრი სხვა, ისიც გაათავისუფლეს. თუმცა, კვალიფიციური კადრი სანთლით საძებნელი იყო და მალე 24-ე ბაგა-ბაღში დაიწყო მუშაობა მეთოდისტად, 2014 წლიდან კი 206-ე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორია. გახლავთ დამსახურებული პედაგოგი, დამსახურებული დირექტორი, აქვს სხვადასხვა სერთიფიკატი, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ქალბატონმა მარინემ გზადაგზა გაგვაცნო კოლექტივის წევრები, რომელთა თანადგომითაც ჩამოყალიბდა სასურველი გარემო: დირექტორის მოადგილე **ნათია ცუცქირიძე**, მეთოდისტი **თამარ მეხრიშვილი**, საქმის მწარმოებელი, ბუღალტერი **ანა იოსებაძე,** მნე **მაია ბეჭვაია**, ფსიქოლოგი **მირანდა შაორშაძე**, ლოგოპედი **მაია ხარაზიშვილი**, სპეც.პედაგოგი **ლეილა ლელაშვილი**.

პატარებს ხელოვნების სიყვარულით ზრდიან და მათ სულს აფაქიზებენ მუსიკის პედაგოგები – **ნატო თოთლაძე, ელმირა თეიმურაზოვა** და ქორეოგრაფი **იზა ლაზაშვილი**.

შენობის შესასვლელში და ყველა ჯგუფში, მშობელთა კუთხეში გამოკრულია ბაღების სააგენტოს მიერ გადმოცემული მენიუ. მშობელი ყოველდღიურად ეცნობა იმ ჩამონათვალს, რომლითაც იკვებება მისი შვილი. სამზარეულოში ჯანსაღი პროდუქტისგან ჩინებული კერძები მზადდება, რომლითაც პატარებს მზარეული **ნანა მალლაკელიძე** და მზარეულის დამხმარეები – **ეკატერინე ბედიანაშვილი** და **თეა ქაჯაია** უმასპინძლდებიან. ბავშვთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას **ექთანი ეკატერინე ფხიკიძე-დვალი**.

დასაწყისშივე აღვნიშნე უზადო სისუფთავე და კეთილმოწყობა, რომელზეც ზრუნავენ დამლაგებლები: **ცისანა თოლორაია, ნინო მეგულაშვილი, ეთერი ზაქარიაძე, მაია წიფურია, ლია დურგლიშვილი** და მრეცხავები: **თამარ კერესელიძე, ნათელა ქართველიშვილი, ირინე შუბითიძე, ნინო სოხაძე, მაია ბაციკაძე**.

ეზოს კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე მართლაც რომ დიდი შრომა გაუწევიათ. თავისი საქმის დიდოსტატები არიან: მეეზოვე **მაყვალა კოპალეიშვილი,** მუშა **ლოვა ქურდოვანიძე** და მებაღე **იოსებ ბერძენიშვილი**.

საინტერესო, ხალისიანი ცხოვრება ჯერ მხოლოდ ახლა დაიწყო, წინ ბევრი ლამაზი დღე აქვთ და ღვთის მადლით, ბევრი პატარა დაფრთიანდება ამ ბაღში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განვითარებაში თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ.





**P.S.** ეს წერილი ბაგა-ბაღის აღორძინებაგახნის ისტორიული თარიღის აღმნიშვნელია. „სახალხო განათლება+“ მას უძღვნის ზემო ფონიჭალელ ცეროდენებს სამახსოვროდ.

**ნათია გურგენიძე**





ნომრის სტუმარია: „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“

# ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების კერა



**თბილისის** სამგორის რაიონის მესამე მასივის, მეექვსე კვარტალში გამვლელი ესთეტიკურად მიმზიდველ შენობას უთუოდ შენიშნავს. ეს გახლავთ „ახალი უმაღლესი სასწავლებელი **NEWUNI**“. იგი თავისი არსებობის მეოთხე წელს ითვლის, ცდილობს უნივერსიტეტთა შორის კონკურენტულ გარემოში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

სადღეისოდ უნივერსიტეტში 400-მდე სტუდენტი სწავლობს სამ აკრედიტებულ პროგრამაზე. ეს გახლავთ **საერთაშორისო ურთიერთობები; ბიზნეს ადმინისტრირება; ტურიზმი**.

სასწავლებელი აქტიურად მონაწილეობს ბოლინიის პროცესში და ხელმძღვანელობს ევროპული უნივერსიტეტების შესახებ ქარტიის პრინციპით. ამ პრინციპების დანერგვითა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური მობილობის ხელშეწყობას.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული მიზანია: კონკურენტუნარიანი პეციალისტების გამოშვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრისმოთხოვნების გათვალისწინებით.

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. მემორანდუმის ფარგლებში „**NEWUNI**“-ის სტუდენტები აქტიურად იღებენ განათლებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ჴუნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას. ამისათვის სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა სამსახური ( საზოგადოებრივი ურთიერთობების, სპორტისა და სხვა.) აქტიურად არიან ჩართულნი განვითარებისათვის საჭირო შესაძლებლობების მოძიებაში.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, სადაც ახალგაზრდებს აქვთ საშუალება გაემგზავრონ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებზე. „ახალ უმაღლეს სასწავლებელში “ მაღალ დონეზე ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სხვა ღონისძიებები. წელს, უნივერსიტეტმა გამოსცა სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. ჯკონფერენციის ორგანიზებასა და მისი მასალების გამოქვეყნებაში დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **თამარ გარდაფხაძეს**. კრებულში განთავსებულია ამ უნივერსიტეტისა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა მოხსენებები და თეზისები. აღნიშვნის ღირსია ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის – **ხვიჩა გოგიას** მოხსენება: **„მოლაპარაკების ორგანიზება და პრობლემის გადაწყვეტა“, „კომერციული ბანკები და საქართველოს საბანკო სისტემა“** (ხელმძღვანელი: პროფესორი **მაია ჭანია)**, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტის **არჩილ ბრეგვაძის** მოხსენება: „**მენეჯერის როლი ტურისტული საწარმოს მართვის პროცესში**“, **გურანდა შალამბერიძის** ნაშრომი: „**ბრიტანული სლენგი და ჟარგონი**“, (ხელმძღვანელი, პროფესორი **სოფიო მორალიშვილი), ნინო ცხვარაძის „ადამიანის უფლებები საქართველოში“** (ხელმძღვანელი **დავით გეფერიძე)**, **ნინო ცხვარაძის „ირანის ბირთვული პროგრამა – დაპირისპირებიდან შეთანხმებამდე“, თეონა სანდუხაძის „ობლიგაციათა ეფექტიანობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე''** (ხელმძღვანელი, პროფესორი **მაია გელაშვილი)**, **ელენე მაისურაძის „ისლამური სახელმწიფოს პოლიტიკა და საფრთხე საქართველოსთვის**“ (ხელმძღვანელი, პროფესორი **სოფიო ჩქოფია), ნინო ხუციშვილის „ბუღალტრის პროფესიული აღიარების კრიტერიუმები, თანამედროვე ტენდენციები საქართველოში**“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი **ნაზი გვარამია)**.









„მე პირველკურსელი ვარ! ვიცი ეს როგორი სიხარულია. დღესაც კარგად მახსოვს ის ემოცია, როცა შეტყობინება მომივიდა, რომ „ნიუ უნის“ სტუდენტი გავხდი. აქ მუდამ თბილი გარემოა და საუკეთესო შესაძლებლობები კარგი განათლების მისაღებად. მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვარ დღეს და თქვენთან ერთად ვიწყებ ცხოვრების ახალ ეტაპს. მახსოვს 26 სექტემბერი, როდესაც პირველად უნივერსიტეტში შემოვედი, დახვედრის ცერემონიალთან ერთად უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა თამარმა გაგვიკეთა სიურპრიზი, ყველა პირველკურსელს გადმოქვცა საგზური ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გასამგზავრებლად. მადლობა ამ საჩუქრისთვის, ყველა პირველკურსელის სახელით. თქვენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ხართ, ვინაიდან თქვენ მუდამ ზრუნავთ ჩვენს განვითარებაზე და შესაძლებლობების გაფართოებაზე, სტუდენტების მადლიერება ასმაგად დაგიბრუნდებათ“.





ზემოთ ხსენებული კონფერენციის მონაწილეები იყვნენ ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. კონფერენციის მასალები კრებულის გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ უნივერსიტეტის რექტორს, სამართლის დოქტორს, პროფესორს **თამარ გარდაფხაძეს**, სამართლის დოქტორს, ასოცირებულ პროფესორს **დავით გეფერიძეს**, ეკონომიკის დოქტორს, პროფესორს **ანა მარუაშვილს,** ეკონომიკის დოქტორს **მანანა ნანიტაშვილს**, დოქტორანტ **მარინე დონგუზაშვილს**, ფილოლოგიის დოქტორს **ვალერი კვანტრიშვილს.**





„ახალი უმაღლეს სასწავლებლის“ კოლექტივი აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლებლებთან მემორანდუმით ვარშავის, ამერიკის, უკრაინის და სხვა უნივერსიტეტებთან.

„**NEWUNI**“-ის უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილი გაცვლითი პროგრამით, ასევე ითვლებიან ევროპის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებად.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია მემორანდუმის გაფორმებით საჯარო თუ კერძო სექტორებთან. სტაჟირების შემდეგ საქმდებიან ბანკებში, სხვადასხვა საჯარო სამსახურებში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან: **თეა კვარაცხელია, ანი ყველაშვილი, ირაკლი ლეჟავა,ვერიკო თაკალანძე, ლერი ძაძუა, გივი ხარჩილავა, რუსუდან მესტვირიშვილი, თათია ევგენიძე, თათია შარადენიძე, გურანდა შალამბერიძე** და ხვები.

ცხოვრებაში დიდი წარმატება სწორი არჩევანით იწყება. არჩევანის სისწორეს კი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვიდან მალე გრძნობს სტუდენტი. მსურს მოკლედ გაგაცნოთ პირველკურსელის, **ქეთევან ფოფხაძის** აზრი ამ საკითხზე:

ჩვენი გაზეთის გამოცემიდან მესამე დღეს კი – 12 ნოემბერს, უნივერსიტეტის 25 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი „**NEWUNI**“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, შემოქმედებითად მოაზროვნე **სოფიკო ქვარცხავას** ხელმძღვანელობით, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიემგზავრებიან. გზა დავულოცოთ!

**რომან მოსეშვილი**



ცეროდენებს - დედობრივი მზრუნველობა 123-ე ბაგა-ბაღში

# აქ ცუგრუმელებს მოუხარიათ



**123-ე ბაგა-ბაღი** ცეროდენების ზღაპრული სამყაროა. იგი, გლდანის მე-7 მიკრო-რაიონში მდებარეობს და დედაქალაქში ერთ-ერთი სანიმუშოა. – არაჩვეულებრივი წესრიგი, სისუფთავე, კომფორტი და რაც მთავარია, მომავალ თაობაზე







განსაკუთრებული ზრუნვა – აი, ასეთია 123-ე ბაგა-ბაღი, რომელიც ყოველთვის დისციპლინით გამოირჩევა.

საბავშვო ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი ხელმძღვანელის ხელი, მოედნები და ეზო მოპირკეთებულია და დამშვენებულია მწვანე ნარგავებითა და ატრაქციონებით. რაც შეეხება შენობას, იგი ყოველმხრივ წესრიგშია. ოთახები და დერეფნები ისეა მორთულ-მოკაზმული თვალსაჩინოებებით, რომ თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** მხარში დგომით, აქ მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, დარბაზი და სველი წერტილები. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით, სამზარეულოს ჭურჭლებით...

123-ე ბაგა-ბაღს, უკვე ათი წელიწადია სათავეში უდგას ახალგაზრდა, პირმშვენიერი ქალბატონი **სოფიო ოქრომელიძე.** სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბაღი დღითი-დღე მშვენდება და ლამაზდება. ქალბატონი სოფიო, საკმაოდ მრავალმხრივი პროფესიის გახლავთ, მას მიღებული აქვს ფსიქოლოგის, იურისტის და ლოგოპედის განათლება. წლების წინ სკოლაში მუშაობდა. ძალიან უყვარს პატარები და კარგად ერკვევა ბავშვთა ფსიქოლოგიაში.

**სოფიო ოქრომელიძე:** მიყვარს ჩემი საქმე და თავს არ ვზოგავ იმისთვის, რომ ბაღი კიდევ უფრო გავალამაზო და პატარებს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნა. მყავს არაჩვეულებრივი კოლექტივი, რომლებიც არიან პროფესიონალები და გამოცდილები. გვყავს შესანიშნავი მეთოდისტი **ლია თორდია.** ასევე, შექებას იმსახურებენ აღმზრდელები და მათი დამხმარეები, ტექნიკური პერსონალი და თითოეული თანამშრომელი, რომლებიც სულ გვერდში მიდგანან და შეიძლება ითქვას, რომ გუნდური პრინციპით ვმუშაობთ. ჩვენ ერთი ოჯახივით ვართ და ერთიანი ძალებით ვზრუნავთ პატარებზე. ჩვენი მიზანია, პატარებს სიყვარული და მზრუნველობა არ მოვაკლოთ და აქ თავი კარგად იგრძნონ. ბაღში ბავშვთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, სულ 14 ჯგუფია. ჩვენს აღსაზრდელებს ზეიმებს, ძირითადად, ეზოში და ღია სივრცეში ვუწყობთ, რადგან იქ უფრო თავისუფლად და ლაღად გრძნობენ თავს. ამ პროცესში უფროსებიც ვართ ჩართულნი. ჩვენთან ყოველი ღონისძიება ფოიერვერკით და ცაში ბუშტების გაშვებით სრულდება, რაც პატარებს ძალიან მოსწონთ.

წელს ბაგა-ბაღში ბევრი სიახლეა: შეიძინეს ახალი ინვენტარი და სახელმძღვანელოები, მაგრამ პრიორიტეტული მიმართულება მაინც ცეროდენების სკოლისათვის მომზადებაა. თამაშით სწავლის პრინციპს მეცადინეობის დროს დიდი ყურადღება ექცევა. აქ ,,სასკოლო მზაობის '' პროგრამის განხორციელებისკენ მთელი ძალისხმევაა მიმართული. ბაღში არიან ინკლუზიური აღსაზრდელებიც, რომლებთანაც სპეცპედაგოგი მუშაობს.

როგორც სხვა ბაღებში, აქაც დიდი ყურადღება ექცევა პატარების კვებას. არის მრავალფეროვანი მენიუ, სადაც დაცულია კალორიულობა, ცილების და ცხიმების თანაფარდობა. როგორც გვითხრეს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნორჩებში ხელოვნებისადმი სიყვარულის განვითარებას. ამ მიმართულებით საინტერესოდ მუშაობენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები. ბაღში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, პრეზენტაციები – განვლილ თემასთან დაკავშირებით, ზეიმები და ა.შ. ახლახანს კი, გაიმართა შემოდგომის ზეიმი, სადაც წარმოდგენილი იყო სოფლის ნობათი, ხილი და თათარა, ბავშვებმა ამოავლეს ჩურჩხელები და წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ ბაღის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონის თუ სხვა გასვლით ღონისძიებებში და სხვადასხვა კონკურსებში, საიდანაც ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.

ასეთი მჩქეფარე, ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობს 123-ე ბაგა-ბაღი. რაც მთავარია, უბნის მშობლები ძალიან კმაყოფილები არიან. ბაღი დღითიდღე პოპულარობას იძენს და მსურველთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. ბაგა-ბაღი ასეთი დირექტორის ხელში სულ უფრო გაბრწყინდება.

**მზია გოგოძე**



## ნაყვატილო დაიკო - ციცონ!

*თბილისის მე-11 საშუალო სკოლის ყოფილ პედაგოგს* ***ნანული მოსეშვილის*** *(საკუთარი ლექსი მიძღვნილი მისი დის – 32-ე სკოლის ყოფილ მასწავლებელს ცისანა მოსეშვილისადმი, დაბადების დღესთან დაკავშირებით).*

**შენზე ვლოცულობ, გიხაროდეს**
**შენი ღიმილი, ლამაზ თვალებში ჩაღვრილი სხივი,**
**ამაღლებული განწყობა და კვლავაც ღიმილი,**
**გულში ჩამწდომი სიმღერის ხმა გალაღებული...**
**მენატრება სიგიჟემდე გულისტკივილით**
**ჩვენი მოლხენა, სიცილი და გულით ხარხარი,**
**ანეგდოტების ოსტატური მოყოლა,თხრობა...**
**და მოსმენით კმაყოფილი შენი მსმენელი.**
**მე მენატრება შენი ყოფნა ტოლ-მეგობრებში**
**ხმაშეწყობილი მომართული სიმღერისათვის.**
**როგორც ყოველთვის კვლავაც მინდა**
**რომ დაიბრუნო რაც კი გაგაჩნდა, და ის**
**რაც მოგვწონს, გვხიბლავს შენში, მუდამ ყოველთვის**
**შენზე ვლოცულობ და ვთხოვ უფალს ღმერთს**
**რომ შეისმინოს ჩემი მუდარა,**
**და მწამს რომ ჩემს ლოცვსა შენდამი**
**ღმერთი შეისმენს და აღსრულდება ჩემი სურვილი.**

**ნანული მოსეშვილი**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599343727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: saxgani@gmail.com
sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+, №15 (4536)
9 ნოემბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113